დანართი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ - ის საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ლელა ჯაში

წევრ(ებ)ი:

ირმა ხუციშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ეთერი ბროლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

გოგი ლატარია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ნათია ქათამაძე- უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ნინო როსტომაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ლელა კვირტია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

შაქრო ჟღენტი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ნაწილი I. შესავალი

[redacted] ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	400147541

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი მარნეული
იურიდიული მისამართი	ქალაქი მარნეული, ქუჩა გოგებაშვილი, N1
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი მარნეული, გოგებაშვილის ქუჩა N1
საფოსტო ინდექსი	3000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://ge.maarifschool.org/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	ge@turkiyemaarif.org
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	(+995) 511 102 985

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ბრძანება MES 2 23 0000983642, 10.08.2023 - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და "შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" ვიზიტის შესახებ.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	22 აგვისტო, 2023წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)*

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	ქალაქი მარნეული, გოგებაშვილის ქუჩა N1

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა "შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" (ს/კ:400147541) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის და მე-5 მუხლის მეორე პუნქტის „ გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გ.ა), გ.ე), გ.ვ) და გ. ზ) კომპონენტების შესრულების შემოწმება.

საავტორიზაციო ვიზიტი ინტერაქტიურ რეჟიმში წარიმართა. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუირების პროცესი სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი, თანამშრომელთა პირადი საქმეები და სხვა დოკუმენტაცია. განხორციელდა სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება.

საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისა, რომელმაც ვიზიტის პერიოდში განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა

500	183

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დაარსებულია თურქეთის რესპუბლიკის მაარიფის ფონდის ხელშეწყობით, 2016 წლიდან 52 ქვეყანაში ახორციელებს საქმიანობას და წარმოდგენილია 447 სკოლით. მაარიფის სკოლამ საქართველოში 2019 წელს მიიღო ავტორიზაცია. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე, სკოლის მოსწავლეები სხვადასხვა ეროვნებისა და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები არიან. ის, რომ ინტერკულტურული განათლება უმნიშვნელოვანესია 21-ე საუკუნეში, უდავოა. სკოლის მიერ ინტერკულტურული განათლების პრინციპების გატარება უზრუნველყოფს საქართველოს განათლების ეროვნული მიზნებით და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას მოსწავლეებში.

საინტერესო და მამოტივირებელია სასწავლო პროცესის დაწყების ყოველდღიური რუტინა. კერძოდ, სკოლაში ყოველი დილა იწყება აერობიკით (15 წუთი), ამის შემდეგ, დირექტორი მიაცილებს საკლასო ოთახებში მოსწავლეებს და თან მიმართავს მამოტივირებელი ფრაზებით - უღვივებს მათ ლიდერის თვისებებს, თავდაჯერებას, რაც, წარმატების აუცილებელი წინაპირობაა. შემდეგ ყველა კლასში იწყება 15 წუთიანი კითხვის პროცესი, რომელშიც ჩართულნი არიან როგორც მოსწავლეები, ისე სკოლის პერსონალი. მოსწავლეთა წახალისება სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა - ყოველი სემესტრის ბოლოს ყოველ კლასში ლიდერების გამოვლენა ხდება მასწავლებლების, კლასის დამრიგებლების, ფსიქოლოგის მიერ. სემესტრის ბოლოს სკოლის დირექციის მხრიდან დაჯილდოებით აღინიშნება, ასევე, ჯანსაღი წვნიანის სიყვარულიც, რაც თურქული ტრადიციაა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას უწყობს ხელს.

სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ადამიანური კაპიტალის განვითარებაა, რაც გამოიხატება მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და მხარდაჭერაში. პედაგოგები, სხვა მრავალფეროვან აქტივობებთან ერთად, ტრენინგებს გადიან თურქეთის რესპუბლიკაში ცნობილ უნივერსიტეტებში, გარდა ამისა, ისინი ჩართულები არიან მაარიფის მასწავლებელთა

მსოფლიო ქსელში საგნობრივ ჯგუფებში და მონაწილეობენ სისტემატურ ვორქშოფებსა და სემინარებში. ახალი სასწავლო წლისთვის დირექციას მომზადებული აქვს ტრენინგების განრიგი - საინტერესო თემატიკით, ქართული და თურქული მხარის ჩართულობით.

სკოლის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითად შეიძლება განხილულ იქნას ორგანიზაციის მზრუნველი დამოკიდებულება სკოლაში დასაქმებული პირების მიმართ. კერძოდ, სკოლა სთავაზობს მასწავლებლებს ჯანმრთელობის დაზღვევას, ტრანსპორტირებას ხარჯების ანაზღაურებას. სკოლის მასწავლებელთა თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მასწავლებლის არასრულწლოვანი შვილების რაოდენობაა.

დაწესებულების მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ სამუშაო შეხვედრებს რეგულარული ხასიათი აქვთ. დირექცია ყოველ ხუთშაბათს მასწავლებლებთან მართავს სამუშაო შეხვედრებს. სკოლის საუკეთესო გამოცდილებაა საგნობრივი კათედრების ყოველკვირეული შეხვედრები, ხოლო, ყოველ მეორე კვირას დირექციის წარმომადგებლის დასწრება კათედრების სხდომაზე, რაც სკოლის საგაკვეთილო ცხრილშია გაწერილი. ასევე, აღსანიშნავია პროცესებში ფსიქოლოგის აქტიური ჩართულობა - ყოველ მეორე კვირას ფსიქოლოგის დასწრება და ჩართულობა სადამრიგელო საათზე, რის საფუძველზე, გარკვეული პერიოდულობით, ტარდება დამრიგებლებისათვის განკუთვნილი ვორქშოფები. პედაგოგიური გამოცდილების, ხელმისაწვდომი ინფორმაციისა თუ ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციების გაზიარება - დადებითად აისახება სკოლის განვითარებაზე.

არაფორმალური განათლების მაღალი წილი, ინოვაციური პროექტები, სკოლის ინფრასტრუქტურა - უახლესი ინვენტარით აღჭურვილი ლაბორატორიები, სასწავლო პროცესს მოდერნიზებულს და საინტერესოს გახდის. სკოლა მუშაობს სასწავლო პროცესის გაციფრულებაზე, ტექნოლოგიები არის სკოლის ის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას მისცემს დაწესებულებას სწრაფ განვითარებას მიაღწიოს.

MAGIS - ოლიმპიადა სკოლის მიერ ინიციირებული, მასშტაბური პროექტია, რომელიც სტემის საგნებში და ინგლისურ ენაში ჩატარდა 2023 წელს. საქართველოს მასშტაბით ოლიმპიადაში 700-მა საქართველოს მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. საკმაოდ სოლიდურია ოლიმპიადის გამარჯვებულთა ჯილდოც (25 ათასი ლარი).

სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს შორის ვხვდებით აქტივობებს, რომელთა მიზანი სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის უზრუნველყოფაა - საქველმოქმედო ღონისძიებები, მოსწავლეთა და მშობელთა ნახელავების გამოფენა-გაყიდვა, მშობლეთა ჩართულობა სასკოლო კონკურსებში. მაგალითად, ერთ-ერთი ბოლო აქტივობის ფარგლებში, სკოლის მენეჯმენტის მოწვევით და ხარჯებით, განხორციელდა საქმიანი სადილი მოსწავლეთა მშობლებთან, სადაც განხილულ იქნა სკოლისათვის აქტუალური საკითხები.

და ბოლოს, სკოლის არაქართულენოვანი მოსწავლეები ეზიარებიან ქართულ ენას, რაც მასწავლებელთა მხრიდან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. მაღალი პროფესიული კომპეტენციის მქონე პედაგოგები, მოსწავლეთა ჰეტეროგენულ კლასებში, ითვალისწინებენ სწავლის სხვადასხვა სტილს, სწავლების განსხვავებულ სტრატეგიებს და მათ ენობრივ კომპეტენციებს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის III სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	*ხარვეზი*

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი ...		.....
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევები

სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი ...		.....
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)* *<u>ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე</u>*

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ:
• ინდიკატორი 3.5.1.3 - სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტო და ვიდეო მასალის საფუძველზე, ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი".

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში,, (შემდგომში სკოლა, დაწესებულება) სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი შემუშავებულია 2023 წელს. სკოლის ფართის ცვლილებამ და პროგრამების დამატებამ სხვა მუნიციპალიტეტში, გამოიწვია არსებული რესურსების სხვაგვარად

განაწილება. სკოლის სტრუქტურა სქემატურადაა გამოსახული, სადაც პირების//სტრუქტურული ერთეულების იერარქიული დაქვემდებარებაა წარმოდგენილი. როგორც ირკვევა, დაწესებულების უმაღლესი, მართველობითი ორგანო არის მაარიფის ფონდი, რომელსაც ექვემდებარება მაარიფის ფონდის წარმომადგენელი საქართველოში-გენერალური დირექტორი, მას ექვემდებარება სკოლის დირექტორი (თურქეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი). ზემოაღნიშნული დირექტორის წინაშე ანგარიშვალდებულია სკოლის ქართულენოვანი დირექტორის მოადგილე, რომელსაც უშუალოდ ექვემდებარებიან კათედრები და სკოლის ექიმი. ფსიქოლოგი, საქმისმწარმოებელი და სკოლის ბუღალტერი, სკოლის თურქულენოვანი დირექტორის მმართველობის ქვეშ არიან. დაწესებულებას ჰყავს მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა, ეროვნული სასწავლო-საამღზრდელო პროცესის ზედამხედველობა და კოორდინირება. გარდა ამისა, მისი ფუნქციაა უზრუნველყოს სკოლაში სასწავლო გეგმების მრავალფეროვნების მიხედვით თურქეთის მაარიფის ფონდისა და საქართველოს განათლების კანონმდებლობას შორის შესაბამისობის დაცვა. დეტალური და მკაფიოა სხვა თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობებიც.

გრაფიკული დიზაინის და სოციალური მედიის მიმართულებით პასუხისმგებელი პირის ფუნქციებს განეკუთვნება სკოლებიდან მიღებული გრაფიკული დიზაინის მოთხოვნების დაპროექტება, ბეჭდვის პროცესებისთვის თვალყურის დევნა და სკოლებისთვის მათი მიწოდების უზრუნველყოფა, ასევე სოციალური ქსელების გამართულად მუშაობა. 49 (ორმოცდაცხრა) პუნქტით არის წარმოდგენილი სკოლის დირექტორის ფუნქციები (თურქეთის წარმომადგენელი). მათ შორისაა - კოორდინირება გაუწიოს არაქართულენოვანი მოსწავლეების ინტეგრირებას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, ხელი შეუწყოს პედაგოგთა პროფესიულ ზრდას, დაგეგმოს სხვადასხვა ტრენინგები, სემინარები და ა.შ.

სკოლის ფსიქოლოგს, გარდა მოსწავლეების ქცევასთან დაკავშირებით წარმოქმნილი გამოწვევების გადაჭრისა, ევალება ხელი შეუწყოს პირველკლასელთა და სკოლაში ახალგადმოსულ მოსწავლეთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას, შეამოწმოს პირველკლასელთა მზაობა სასკოლო სწავლებისათვის, დახმარება გაუწიოს მასწავლებლებს სასწავლო პროცესის ეფექტურად

წარმართვისთვის. ვიზიტის დროს, ექსპერტებმა ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი გამოიყენეს სკოლის ფსიქოლოგთან გასაუბრებისას. როგორც გაირკვა, თავდაპირველად, სკოლის ფსიქოლოგი აკვირდება მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას. შემდეგ, გეგმავს ინტერვენციებს, რაც ყოველ ჯერზე, მშობლის თანხმობის საფუძველზე ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ მისი სამუშაოს დიდი ნაწილი პრევენციული ხასიათის ღონისძიებებს ეთმობა, რაც განაპირობებს მოსწავლეებს და მასწავლებლებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების დამყარებას.

სკოლის სპეციალური მასწავლებლის მუშაობა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა აკადემიური, სოციალური და ფუნქციური უნარების შეფასებას და აღწერას. აღსანიშნავია, რომ სკოლაში სსსმ მოსწავლის სტატუსი მინიჭებული აქვთ მოსწავლეებს, რომელთაც ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები აქვთ სწავლაში.

წესში წარმოდგენილია მასწავლებლების, საქმისმწარმოებლის, ბუღალტრის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის, ბიბლიოთეკარის, ტექნიკური პერსონალის, ტექნოლოგიების სპეციალისტის, მზარეულის და მისი თანაშემწის ფუნქცია-მოვალეობებიც.

ვიზიტის დროს, ექსპერტებმა განიხილეს სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების ხელშეკრულებები, ასევე, სტრუქტურული ერთეულების დებულებები/სამუშაოს აღმწერი დოკუმენტები.

როგორც გაირკვა, კათედრის მუშაობის მიზნები და ამოცანებია: სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების პრაქტიკაში დანერგვა, სახელმძღვანელოების, სასწავლო რესურსების ეფექტურად შერჩევა და დამტკიცება, დამატებითი სასწავლო რესურსების მოძიება და ეფექტური გამოყენება და ა.შ. პედაგოგიური საბჭოს ამოცანათა შორისაა, მასწავლებელთა შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარება, სკოლაში სწავლის ხარისხის მუდმივ განვითარებასა და დახვეწაზე ზრუნვა. დამრიგებლის დებულება ეფუძნება ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში და ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ მიზნებსა და ამოცანებს.

სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში და ამ მიმართულებით, სხვადასხვა ღონისძიებები იგეგმება. მშობელთა კომიტეტის დებულების თანახმად, კომიტეტი არის სკოლის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც სკოლის ადმინისტრაციასთან ურთიერთობისას წარმოადგენს მშობელთა და სკოლის მოსწავლეთა ინტერესებს. მშობელთა კომიტეტი შედგება თითოეული საფეხურიდან არჩეული მინიმუმ ერთი მშობლის, სკოლის დირექტორის, მოადგილის/მრჩეველის და ერთი მასწავლებლისგან, რომელსაც ნიშნავს სკოლის გენერალური დირექტორი. კომიტეტის წევრთა რიცხვი, შესაძლოა, გაიზარდოს მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს, რომელთა მიზანი სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის უზრუნველყოფაა. აღსანიშნავია, რომ მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე ვალდებულია სემესტრის/სასწავლო წლის დასრულებისას, მოამზადოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ და წარუდგენს გენერალურ დირექტორს.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, მკაფიოდ განსაზღვრული სკოლის პერსონალის ფუნქციები, ორგანიზაციული სტრუქტურა (იერარქიულ დაქვემდებარება) დადებითად აისახება თანამშრომელთა სამუშაო ხარისხზე. პერსონალის მოვალეობები, ამოცანები და საქმიანობა უზრუნველყოფს დაწესებულების სტრატეგიული მიზნების მიღწევას. 2023-2024 სასწავლო წლის სკოლის განვითარების გეგმაც, მკაფიოდ ასახავს აქტივობების შესაბამისად, პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს. აღნიშნული დოკუმენტი საჯაროა (განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე) და ხელმისაწვდომია სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2.როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის თანამშრომელთა/სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდ არის განსაზღვრული. დაწესებულება განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ანგარიშგების სისტემაზე (წერილობითი - სამსახურებრივი ბარათები, ანგარიშები, რომლებიც ყოველი თვის ბოლოს წარედგინება გენერალურ დირექტორს, რომელიც, ტავის მხრივ, სემესტრის ბოლოს წარუდგებს მაარიფის ფონდის შესაბამის დეპარტამენტს. ასევე ,,ჩეკ ლისტები“, ასევე, ზეპირსიტყვიერი ანგარიშები მოთხოვნის შესაბამისად.). ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტებმა განიხილეს სკოლის შიდა დოკუმენტაცია, რამაც

დაადასტურა, რომ მონიტორინგი, შეფასება და შეფასების შედეგების გათვალისწინებით დაგეგმილი აქტივობები, სკოლის მუშაობის ძირითადი პრინციპია. უნდა აღინიშნოს, რომ მაარიფის ფონდის აკადემიური საქმიანობის დეპარტამენტი სწავლობს მასპინძელი ქვეყნის სასწავლო გეგმას და შესაბამისს მონიტორინგს ახორციელებს წელიწადში ერთხელ გარე დაკვირვებით, ადგილზე ვიზიტით და სკოლას წარუდგენს მოკვლევა-დაკვირვების შედეგებს.

სკოლის ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობითია, პროცესები შეჯერებულია, რაც დადებითად აისახება სკოლის განვითარებაზე.

დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობა ეფუძნება შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში,, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას. დოკუმენტის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება ქვეპროცესებისაგან. თითოეული ქვეპროცესისთვის განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულები/პასუხისმგებელი პირები. სკოლის ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, ყველა ძირითადი პროცესი ექვემდებარება ყოველწლიურ შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ფასდება გარე შემფასებლის მიერაც. შეფასებას შემდგომ, ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, დირექტორთან ერთად, ადგენს წლიურ სამოქმედო გეგმას, რომელიც მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და გასცემს რეკომენდაციებს, პროცესის განხორციელების პრაქტიკის გაუმჯობესების ან/და პროცესის მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოფილია სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობების მიზნობრივი და ეფექტური გადანაწილებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში,, სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი;
- სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- სკოლაში დასაქმებული პირების/სტრუქტურული ერთეულების ანგარიშგების დოკუმენტაცია;
- შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში,, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შედგენილი აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის ამოცანებია დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა, დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება, დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება სკოლის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ვიზიტის დროს, ექსპერტებმა განიხილეს სკოლის შესარჩევი კონკურსების დოკუმენტაცია. როგორც გაირკვა, სკოლაში თითოეულ პოზიციაზე შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა და მოიცავს თანამდებობის/პოზიციის დასახელებას, შესასრულებელი დავალებების (ფუნქციები) ნუსხას და პასუხისმგებლობებს, სამუშაოს პირობებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ზემოაღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს მართვის პროცესის ორგანიზებულად წარმართვას, ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და მორგებულია სკოლის შინაარსს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რის საფუძველზე ხორციელდება თანამშრომლების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირება. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. მრავალფეროვანია სკოლის მიერ მასწავლებლებისათვის შეთავაზებული, მათი პროფესიული განვითარებისაკენ მიმართული ღონისძიებები. მაგალითად, 2022 წელს სკოლის მასწავლებლები და ადმინისტრაცია იმყოფებოდნენ თურქეთის რესპუბლიკაში, ბაიბურთის უნივერსიტეტში, სადაც ესწრებოდნენ სპეციალურად მათთვის შექმნის „ვორკ შოფს“, რომელშიც ჩართული იყო უშუალოდ უნივერსიტეტის რექტორი. 15 აგვისტოდან მასწავლებლები ესწრებიან მაარიფის ფონდის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს, მაარიფის ფონდი ზამთრის არდადეგემზე გეგმავს მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარებას სტამბოლის უნივერსიტეტში. სკოლის დირექცია და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები, სკოლის ფსიქოლოგთან ერთად, ახორციელებენ პედაგოგების

საქმიანობაზე დაკვირვებას და გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად, გეგმავენ შემდგომ ინტერვენციებს. ერთმანეთის მხარდაჭერა, პროფესიული დიალოგი, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის არსებობა, უზრუნველყოფს სკოლის თანამშრომლების შეჯერებულ, მხარდაჭერაზე დაფუძნებულ საქმიანობას, რაშიც დიდი წვლილი მმართველ რგოლს და გატარებულ პოლიტიკას ეკისრება. მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში, პროცესების კონტროლი და მისი ჩანაცვლება, უშუალოდ დირექტორის მოადგილის პრეროგატივაა.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის თანამშრომელთა შორის პასუხისმგებლობების გაზიარება, ანგარიშვალდებულების სისტემის ფუნქციონირება, მკაფიოდ გაწერილი სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები, უზრუნველყოფს პერსონალის ეფექტურ მართვას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. დაწესებულების, შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, არეგულირებს სკოლაში ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების პროცედურებს. კერძოდ, ღია და შიდა კონკურსის ჩატარების წესებს. სკოლაში კონკურსის გამოცხადება ხდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ბრძანების საფუძველზე, რომლითაც, ასევე, განისაზღვრება კონკურსის ვადები, პირობები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და სხვა. განცხადება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება საჯაროდ, ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე – http://teacherjobs.ge/-ზე, ხოლო განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლის მასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას. აღსანიშნავია, რომ შესაბამისი კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებთან და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით, იქმნება საპრეტენზიო კომისია. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტებმა განიხილეს საკონკურსო დოკუმენტაცია. ექსპერტების ყურადღება მიიქცია აპლიკანტის მიერ შესავსებმა კითხვარმა, რომლის ბოლო პუნქტში, კონკურსანტს ევალება ესეს შედგენა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული, გარკვეული საკითხების განხილვა/წარმოჩენა. გასაურების შემდეგ შერჩეული აპლიკანტები (მასწავლებლის პოზიციაზე) ატარებენ სიმულაციურ გაკვეთილს (გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმიბი მათთვის

წინასწარა არის ცნობილი), რასაც მოჰყვება გასაუბრება მაარიფის ფონდის ადამიანური რესურსების განვითარების დეპარტამენტთან.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაეცნენ პედაგოგების პირად საქმეებსაც, რომლებიც შეიცავდა სკოლის შინაგანაწესით დადგენილ დოკუმენტაციას. კერძოდ, შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ შინაგანაწესის მე - 6 მუხლი, განსაზღვრავს სკოლაში დასაქმების მსურველი პირის წინასახელშეკრულებო ურთიერთობას, რომლის ფარგლებში პირმა სკოლაში უნდა წარადგინოს: პირადობის/პასპორტის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი/ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი, ფოტოსურათი, ავტობიოგრაფია, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი/ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი (მხოლოდ მასწავლებლებზე), კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, საგნის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა, სტატუსის შესაბამისი სერტიფიკატის ასლი (მოქმედი მასწავლებლის შემთხვევაში), ნასამართლობის ცნობა (მხოლოდ მასწავლებლების შემთხვევაში), ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები წარმოდგენილია შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (თავი N11). ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტებმა განიხილეს სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool) პერსონალის, მათ შორის, პედაგოგების მონაცემები. სკოლაში დასაქმებული იყო 17 უფროსი, 2 წამყვანი და 3 მაძიებელი მასწავლებელი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას. გარდა ამისა, 3 მასწავლებელი - დამატებითი სავალდებულო საგნის, თურქული ენის პედაგოგები არიან. 1 პედაგოგს მოწვეული მასწავლებლის სტატუსი აქვს და მისი საათობრივი დატვირთვა არ აღემატება 9 საათს. 2 მასწავლებელი აყვანილია კონკურსის წესით, იმ პირობით, რომ მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში უნდა ჩააბარონ საგნის გამოცდა და გაიარონ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების

საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი. ერთ მასწავლებელს 60 კრედიტიანი პროგრამის გავლის საფუძველზე, ეკუთვნოდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, თუმცა, არ იყო ასახული სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ექსპერტები გაეცნენ მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს. როგორც გაირკვა, მათი მოქმედების ვადა იწურებოდა მიმდინარე წლის 30 აგვისტოს. თუმცა, შეთანხმების საფუძველზე, ვადა 1 წლით გახანგრძლივდა. სკოლის ექიმის, ბიბლიოთეკარის, ფინანსური მენეჯერის და სხვა თანამშრომლების პირადი საქმეების განხილვის საფუძველზე დადასტურდა, რომ მათი შერჩევის პროცესი განხორციელდა შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტიც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებაში დამკვიდრებული პრაქტიკაა - რეგულარული, ყოველკვირეული შეხვედრები, რომლებზეც განიხილება სკოლის მართვასთან, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან, პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები და ა.შ. (ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია). ექსპერტები ვიზიტის მიმდინარეობისას გაეცნენ აღნიშნული შეხვედრების დღის წესრიგებს, რომლებიც წინასწარ ეგზავნებოდა კონკრეტულ თანამშრომლებს, შეხვედრის ამსახველ მასალას (ანგარიშები, ოქმები და ა.შ) და დარწმუნდნენ, რომ პროცესები ორგანიზებული და შეჯერებულია და მოიცავს სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად საკითხს. სტრუქტურული ერთეულების მუშაობაც გუნდურობის პრინციპით ხორციელდება. სკოლის მიერ დაგეგმილი, არაფორმალური ხასიათის აქტივობები არა მხოლოდ აუმჯობესებს გუნდური მუშაობის უნარებს, არამედ, დადებითად აისახება თანამშრომლების განწყობაზე და განვითარებაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ შინაგანაწესი (მე -18 მუხლი) აღწერს წახალისების ფორმებს. როგორც ირკვევა, წახალისების ერთ-ერთი ფორმაა ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ასევე, ერთჯერადი ფულადი პრემიის მიღება. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ბრძანებით. სკოლის დირექციის წევრები/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს

დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით. როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, სკოლის პერსონალის (მათ შორის, პედაგოგების) მიღწევების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სოციალურ ქსელში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ შინაგანაწესი;
- სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- საკონკურსო დოკუმენტაცია;
- სამუშაო შეხვედრების ამსახველი მტკიცებულებები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1 სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას, შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“, საჯარო რეესტრი ამონაწერის მიხედვით, სარგებლობის უფლებით 2028 წლის 1 ივლისამდე, გადაცემული აქვს ქალაქ მარნეულში, გოგებაშვილის ქუჩა N1 -ში მდებარე 3 (სამი) სართულიანი შენობა ნაგებობა, საერთო ფართით 1458,64კვ.მ, განთავსებული არასასოფლო-სამეურნეო ნაკვეთზე, საერთო ფართით, 795.00 კვ.მ. მიწის საკადასტრო კოდი 83.02.01.858. მიმდინარე წლის 13 თებერვალს გაფორმებული უძრავი

ქონების იჯარის (მხარეები: შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ და ქონების მესაკუთრე). ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად, თუ მოიჯარე (შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“) ხელშეკრულების ვადის გასვლამდე (01.07.2028წ.) არ გამოთქვამს სურვილს საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულება გაგრძელდება 2033 წლის 1 ივლისამდე.

სკოლის შენობის მდგრადობა დადასტურებულია 2023 წლის 21 აპრილით დათარიღებული დასკვნით - ,,საექსპერტო დასკვნა მდგრადობაზე და საიმედოობაზე“. დასკვნის თანახმად, ჩატარებული კვლევის საფუძველზე, ქალაქ მარნეულში, გოგებაშვილის ქ. N1 -ში მდებარე შენობის, საკადასტრო კოდით 83.02.01.858 არსებულ მიწის ნაკვეთზე, კონსტრუქციული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. გაანგარიშების მიხედვით ამტანუნარიანია, როგორც ქარის მაქსიმალურ, ასევე თოვლის დატვირთვაზე და ბუნებრივ გარემო ფაქტორებზე. ჩატარებული ექსპერტის საფუძველზე შენობის კონსტრუქციული სქემა და მოცემული პარამეტრები აკმაყოფილებს მდგრადობისა და საიმედოობის პირობას.

სკოლის შენობა ქალაქ მარნეულის ცენტრალურ ადგილას არის განთავსებული. სკოლის გარე პერიმეტრი დაცულია და ეზო შემოსაზღვრულია ღობით. შენობა ვიტრაჟული ტიპის, თანამედროვე სტანდარტების არქიტექტურულ კონსტრუქციას წარმოადგენს. საკლასო ოთახები, კაბინეტები თუ თანამშრომლებისათვის განკუთვნილი სივრცეები ნათელია. ვიზიტის მიმდინარეობისას სრულდებოდა სკოლის შენობის მოწყობის სამუშაოები, მათ შორის, სკოლის შიდა კიბეების მოაჯირების. ასევე, კაბინეტებში მიმდინარეობდა სასწავლო ინვენტარის დალაგების პროცესი. დაწესებულების ნულოვან სართულზე განთავსებულია სპორტული დარბაზი და საკმაოდ მოცულობითი სასადილო, ასევე, განიერი სივრცე (დერეფანი). სკოლის პირველ სართულზე მიმღებია, ასევე, პირველ სართულზეა განთავსებული ექიმისათვის განკუთვნილი კაბინეტი, სველი წერტილები და სხვა დამხმარე და ძირითადი სივრცეები. სკოლის მეორე სართულზე განიერი ფოიეა, ასევე, საკლასო ოთახები (სულ 5) და ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი კაბინეტები (სულ 3), ლაბორატორია. სკოლის მესამე სართულზე ვხვდებით ბიბლიოთეკას, კომპიუტერულ და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას, სააქტო დარბაზს, კლას-კაბინეტებს. სკოლის შენობაში განთავსებულია

სათათბირო ოთახები, ორი სამასწავლებლო, ფსიქოლოგის ოთახი -რესურსოთახი. სკოლის თავისუფალ სივრცეებში განთავსდება მაგიდის ჩოგბურთი და სტელაჟები წიგნებისთვის. ყველა სართულზე მოწყობილია სველი წერტილები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის. სკოლაში დამონტაჟებულია ლიფტი. ექსპერტებმა შენობის ვიზუალურ დათვალიერების პარალელურად, განიხილეს სკოლის სარგებლობაში არსებული მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საკლასო ოთახებში (სულ 15) განთავსებულია ერთადგილიანი მერხები და სკამები და სხვა სასწავლო ინვენტარი. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განთავსებულია შენობის მესამე სართულზე. კაბინეტში დამონტაჟებულია ონკანები და გამწოვი სისტემა. სასკოლო ლაბორატორია შეძენილია 2019 წელს, რასაც ადასტურებს საგადახდო დავალება N6668574, 02/04/2019. ლაბორატორია მოიცავს 69 დასახელების ინვენტარს, საერთო რაოდენობით 953 ცალი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიების მუშაობის ძირითად ასპექტებს.

სასკოლო ბიბლიოთეკა მოიცავს როგორც წიგნების საცავს, ასევე სამკითხველოს, რომელიც აღჭურვილია ინდივიდუალური სკამებით და მაგიდებით. სკოლის წიგნადი ფონდი (მათ შორის, სასკოლო სახელმძღვანელოები) ექვემდებარება მუდმივ შევსებას, რაზეც მეტყველებს შესყიდვების დოკუმენტაცია. ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერული ტექნიკაც.

2. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის შენობაში რეკრიაციული სივრცეები (მოცულობითი ფოიე, კლას-კაბინეტები, სპორტული და სააქტო დარბაზი) კომფორტულია და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება როგორც მოსწავლეებისთვის, ისე სკოლაში დასაქმებული პირებისთვის. სკოლის ერთ-ერთი კაბინეტში, მესამე სართულზე, განხორციელდება რობოტიკის შესწავლა - ოთახის ცენტრში მოთავსებულია სპეციალური მაგიდა, დიდი სათავსოთი, რომელშიც განთავსებული იქნება სათამაშო ,,ლეგო,,, რომელიც არა მხოლოდ დროის მხიარულად გატარების საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, არამედ განუვითარებს მათ კრიტიკულ აზროვნებას, მოტორულ უნარებს, თვალის/ხელის კოორდინაციას, პრობლემის გადაჭრის უნარს, კონცენტრაციის უნარს,

სოციალურ უნარებს, უზრუნველყოფს მათ ემოციურ განვითარებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი. სართულებზე გადაადგილება შესაძლებელია ლიფტის დახმარებით. **თუმცა, ვიზიტის დროს სკოლაში არ იყო ადაპტირებული სველი წერტილი,** თუმცა, იგეგმებოდა მისი მოწყობა სასწავლო წლის დაწყებამდე. სკოლის ყველა საკლასო ოთახამდე, თუ კაბინეტამდე გადაადგილება შეუფერხებლად არის შესაძლებელი. **დაწესებულებამ შეადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.3. ინდიკატორთან მიმართებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტო და ვიდეო მასალის განხილვის საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლამ დაასრულა ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის სამუშაოები. შესაბამისად, ინდიკატორი, 3.5.1.3. ინდიკატორი ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი".**

4. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას მოწყობილი აქვს სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება სკოლაში დასაქმებული პირებისთვის და მოსწავლეებისთვის. მათი გამოყენება უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას/განმტკიცებას. სკოლის ინფრასტრუქტურა საშუალებას მისცემს მოსწავლეებს და მასწავლებლებს სკოლის ბაზაზე განახორციელონ კულტურული, სოციალური, სპორტული თუ შემეცნებითი აქტივობები. არაფორმალური განათლების მაღალი წილი, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების განვითარებას. სკოლის ბიბლიოთეკაც, თავისი მრავალფეროვანი ბეჭდვითი და ელექტრონული რესურსით, ქმედით სივრცედ მოიაზრება როგორც ინდივიდუალური, ისე, ჯგუფური მუშაობისთვის. სკოლა იყენებს ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემას OpenBiblio. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. დაწესებულებაში მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსებია, რაც დასტურდება შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით - კერძოდ, სკოლის ბალანსზეა არჩეული, გრიფმინიჭებული სასკოლო-სახელმძღვანელოები, მხატვრული, შემეცნებითი თუ სამეცნიერო ლიტერატურა. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მკაფიოდ აქვს

განსაზღვრული ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობები. მათ შორის არის: უზრუნველყოს სხვადასხვა პროექტების დაგეგმვა და ხელშეწყობა განხორციელების პროცესში. სკოლის ლაბორატორიებისათვის (საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული), სკოლას შეძენილი აქვს შესაბამისი ინვენტარი. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, სპორტული ინვენტარი. დაწესებულებაში პირველ სართულზე ექიმის კაბინეტია განთავსებული - საქმეშია ინვენტარის ფლობის და მედიკამენტების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვიზიტის მიმდინარეობისას სრულდებოდა მისი მოწყობის პროცესი. სკოლის ექიმის განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სკოლის სველი წერტილები კეთილმოწყობილია და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- საიჯარო ხელშეკრულება;
- სკოლის შიდა აზომვითი ნახაზი;
- სასკოლო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ლაბორატორიებით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ექიმის პირადი საქმე.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება გეგმავს აქტიურად გამოიყენოს სასწავლო პროცესში ტექნოლოგიები. სკოლის ბალანსზეა 30 პორტატიული კომპიუტერი, 4 პრინტერი, 15 პროექტორი, 2 ტელევიზორი, 4 ჭკვიანი დაფა. ვიზიტის მიმდინარეობისას ეწყობოდა დაწესებულების კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლის ინტერნეტ მომსახურებას უზრუნველყოფს შპს ,,მაგთიკომი“ (ხელშეკრულება გაფორმებულია 15.08.2023წ. და მოქმედების ვადად განსაზღვრულია 2 წელი). N22IN0111-15, 01.11.2022წ.

ხელშეკრულებით სკოლამ შეიძინა კომპიუტერული პროგრამა ,,SCHOOLBOOK" –ი, მასზე მიბმული ვებ. გვერდით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლა გეგმავს კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობების გამოყენებით ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესში მოსწავლეების თეორიული ცოდნის მიღებას და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. აგრეთვე, სკოლის თანამშრომელთა მიერ საქმიანობის ეფექტურად წარმართვას ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით. როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ასპექტებს. კერძოდ, დოკუმენტის მიზანია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა, ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- შპს ,,მაგთიკომთან" გაფორმებულ ხელშეკრულება;
- შესყიდვის ხელშეკრულება N22IN0111-15, 01.11.2022წ. ხელშეკრულება - კომპიუტერული პროგრამა ,,SCHOOLBOOK" –ი, მასზე მიბმული ვებ. გვერდით სარგებლობის უფლების შესახებ;
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საქმისწარმოების წესის მიზანია დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, დოკუმენტების შედგენის და გაფორმების ხარისხის ამაღლება, ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნა და დაწესებულების მუშაობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (eflow) გამოყენებას და სისტემაში რეგისტრირებულია როგორც მომხმარებელი. სკოლის დოკუმენტბრუნვა მოიცავს შემდეგი სახის დოკუმენტაციას: შემოსული დოკუმენტაცია, გასული დოკუმენტაცია და შიდა დოკუმენტაცია. ექსპერტებმა ვიზიტის დროს განიხილეს სარეგისტრაციო ჟურნალები და დაადგინეს შესაბამისობა საქმისწარმოების წესში არსებულ რეგულაციებთან. განსაკუთრებით შთამბეჭდავია სკოლის შიდა დოკუმენტბრუნვა - ანგარიშგებები, რაპორტები, დასკვნები და გადაწყვეტილებები ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და მორგებულია სკოლის შინაარსს. სკოლაში გამოცემული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები შედგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული რეგულაციების გათვალისწინებით. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელსაც ევალება სკოლის არქივის ორგანიზება და დაცვა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (eflow) გამოყენებას და სისტემაში რეგისტრირებულია როგორც მომხმარებელი, შესაბამისად, სკოლის სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. . ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა განიხილეს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილი. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე, ხელმისაწვდომია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. დაწესებულება თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან. სკოლას განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი (საქმისმწარმოებელი), რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის დამუშავებას და გაცემას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების ერთიანი წესი;
- სარეგისტრაციო ჟურნალები;
- ხელშეკრულება საქმისმწარმოებელთან.

3.6.3 სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ვებ. გვერდი https://ge.maarifschool.org/ და სოციალური ქსელის გვერდები (facebook, Instagram, Twitter) ასრულებენ საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებ. გვერდი ინფორმატიულია, მასზე წარმოდგენილია სკოლის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო აქტები, განხორციელებული აქტივობები, დამატებითი მომსახურება და ა.შ. წარმოდგენილი ინფორმაცია უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ინტერესების დაკმაყოფილებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. ის, რომ დაწესებულება ახორციელებს თავისი საქმიანობის შესახებ უტყუარი ინფორმაციის გავრცელებს დადასტურდა სკოლის ვებ. გვერდის დათვალიერებისას. კერძოდ, სკოლის საქმიანობის ამსახველი ძირითადი და სავალდებულო დოკუმენტები, ინფორმაცია აკადემიური პროგრამების, სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების, დამატებითი და სავალდებულო მომსახურების სახეების შესახებ დეტალურად აღწერს სკოლაში მიმდინარე პროცესებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დაწესებულების ვებ. გვერდზე, საკონტაქტო ინფორმაციის ნაწილში მითითებულ სკოლის ელექტრონული ფოსტის მისამართზე, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ საკუთარი პოზიციის გამოხატვა სკოლაში მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, შესაბამისი უკუკავშირის მიღება. კერძოდ, თავდაპირველად ხორციელდება ინფორმაციის დამუშავება და საჭიროების შემთხვევაში, ხდება სათანადო რეაგირება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის ვებ. გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია როგორც თურქულ, ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. როგორც უკვე აღინიშნა, ვებ. გვერდი ინფორმატიულია და დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას სკოლის ფილოსოფიის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ. აგრეთვე, დეტალურად აღწერს გასაჩივრების მექანიზმებს, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებს, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისებს, ჩარიცხვის პროცედურებს (შინაგანაწესი) და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგადახდო ანგარიშფაქტურა დომენის მომსახურების და ჰოსტინგის შეძენის თაობაზე;
- სკოლის ვებ. გვერდის და სოციალური ქსელის შესაბამისი გვერდების ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფსასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. კერძოდ, სკოლის ფინანსური რესურსებია მოსწავლეებთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში სწავლის გადასახადი, აგრეთვე, ვაუჩერული დაფინანსება. დაწესებულებას ჰყავს ფინანსური მენეჯერი, რომლის ფუნქციაა უზრუნველყოს სახსრების სწორად და

მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება, ფულადი სახსრებისა და მისთვის მინდობილი მატერიალური ფასეულობების დაცვა. ფინანსური რესურსი ქმნის შესაძლებლობას ინფრასტრუქტურა იყოს გამართული, უსაფრთხო, მოწესრიგებული, ხოლო სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი შესაბამისი რესურსით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის ფინანსური დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა საპროგნოზო მონაცემებს. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს ბიუჯეტის გადახედვისა და მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს ფინანსური მენეჯერი, უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური და ბუღალტრული პოლიტიკის დაგეგმვას, მართვასა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ხელშეკრულება სკოლის ფინანსურ მენეჯერთან.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება.

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმის შემუშავება მოიაზრება სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესად, რომელშიც მონაწილეობს სასკოლო თემის (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, სკოლის ადმინისტრაცია, დირექცია) წარმომადგენლები, რაც საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნას თითოეულის ინტერესი, შესაძლებლობა, პრიორიტეტები. სასკოლო კურიკულუმში ცვლილებების ასახვა განხორციელდება მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების დამუშავების საფუძველზე, კერძოდ, კათედრაზე გაანალიზებული იქნა მასწავლებლების მიერ პრაქტიკული საქმიანობა, არსებული გამოწვევები, ასევე გათვალისწინებული იქნა მშობლების, მოსწავლეების მოსაზრებები, უკუკავშირი. სასკოლო კურიკულუმის

რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სამომავლოდ გეგმავენ, მეტად ჩართონ სასკოლო საზოგადოება კურიკულუმის შემუშავების პროცესში, ასევე იგეგმება მშობელთა ჩართულობის გაძლიერება, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს გაითვალისწინონ კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა მრავალეთნიკურია, გათვალისწინებული იქნა ადგილობრივი საჭიროებები და შესაძლებლობები გაკვეთილების, პროექტების და კლასგარეშე ღონისძიებების კომპონენტების გამოყენებით დაიგეგმა მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი აქტივობები ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები, რომელიც მჭიდროდ დაუკავშირდება და შეავსებს მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილებას. სკოლის ადმინისტრაცია მხარდამჭერია სასკოლო საზოგადოების წევრების ინიციატივებისა, რასაც ადასტურებს კიდეც განხორციელებული პროექტები და ღონისძიებები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სასკოლო გეგმაში, პედ. საბჭოსა და კათედრის ოქმებში იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე, საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნები ურთიერთშეთანხმებით ჩამოაყალიბეს. შეხვედრებზე განიხილეს 2023-2024 წლის კურიკულიმის ჩარჩოები. დაეფუძნონ წინარე გამოცდილებას და თავიანთი მოსწავლეების შედეგებს. აცხადებენ, რომ თითოეული მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად.

საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გამოკვეთილია გრძელვადიანი მიზნები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. . სასკოლო სასწავლო გეგმაში, პედ.საბჭოსა და კათედრის ოქმებში იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმი შექმნილია სასკოლო საზოგადოების წევრების, ძირითადად დირექციისა და მასწავლებლების მონაწილეობით, სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: მშობელთა კრებები, სოციალური ქსელები, იგეგმება სკოლის ვებგვერდის გაუმჯობესება. ასევე, შემაჯამებელ აქტივობებს წარადგენენ სასკოლო საზოგადოების წინაშე, თუმცა გეგმავენ მეტად წაახალისონ საბაზო საფეხურზე მშობლებისა და მოსწავლეების ინიციატივები. მომავალში იგეგმება სკოლამ შეიმუშაოს უკუკავშირის მიღების მექანიზმი: კითხვარის ფორმით, რომელიც შეიძლება იყოს წარმოდგენილი მატერიალური ან ელექტრონული ფორმით. კურიკულუმების საბოლოო ვერსიის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფს სკოლა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით წარსადგენი განაცხადის ფორმა;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

- ინტერვიუ.
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე კათედრების მიერ წარმოდგენილი თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინა გამოცდილებას და პრაქტიკას, განისაზღვრება როგორც საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი, შესაბამისად, წარმოდგენილი წლიური კურიუკულუმის ჩარჩო შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და განსაზღვრავს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში. კურიკულუმის ჩარჩოს ცხრილებში არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით, მასწავლებლებს აქვთ მაღალი მზაობა მოახდინონ საგნის სამიზნე ცნებებისა და შედეგების დამუშავება მოსწავლეებთან კომპლექსური დავალებებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. საბაზო საფეხურის კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კომპლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მოსწავლეებში გლობალური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით ააქტიურებენ გლობალურ კოგნიტურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოკვეთეს, რა კავშირია კურიკულუმი მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს შედეგებსა და XXI საუკუნის ისეთი უნარებს შორის, როგორიცაა; კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ხარაჩოს მეთოდს,რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3.მოწოდებული დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუ ადასტურებს, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. საგნობრივი კათედრის ოქმებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში მოსწავლეთა საჭიროებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები და აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს ინკლუზიური მიდგომების დანერგავს. აგრეთვე, ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური მიდგომები, რადგან სკოლა გამოირჩევა კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნებით. პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო რესურსებს. სკოლას გააჩნია შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი, რითაც შესაძლებელია სწავლა-სწავლების პროცესში სსსმ მოსწავლეების ჩართვა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. შესწავლილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ საბაზო საფეხურზე იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლის შემუშავებაც ხშირად მათი ჩართულობით ხდება. საგნობრივ კათედრებს შემუშავებული აქვთ შეფასების სქემები, მაგალითად: დისკუსიის, ინფორმაციის მოძიების, ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის, პროექტის, სხვადასხვა წერითი სამუშაოს და სხვ. განმავითარებელი შეფასებისთვის გამოყენებულია კომენტარი/უკუკავშირის ზეპირი და წერილობითი ფორმა, დაკვირვება, მოსწავლეთა ურთიერთშეფასება, თვითშეფასება, შეფასების კომპონენტებად მოიაზრება კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებიც. განმავითარებელი შეფასება მასწავლებლების მხრიდან განიხილება სასწავლო პროცესის ნაწილად, შედეგების გაუმჯობესების გზად. იგეგმება, მომავალი სასწავლო წლისათვის შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საფეხურებრივ შედეგებთან მიმართებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. შესწავლილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ დაწესებულებაში ხორციელდება სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილებისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი. კერძოდ, კათედრებზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის, მასწავლებლების თვითრეფლექსიის, კოლეგების ურთიერთშეფასების საფუძველზე ხდება ხარვეზების გამოვლენა, გადაჭრის გზების დასახვა, გამოცდილების გაზიარება. არსებული გამოცდილების გათვალისწინებით იქმნება საგნობრივი კურიკულუმები. მაგალითად: სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, მასწავლებლები ეტაპობრივად ჩანიშნავენ აქტივობებსა და რესურსებს, რომლებიც წარმატებით გამოიყენეს პრაქტიკაში და მუშაობის პროცესში შეავსებენ თემატურ მატრიცას, რომელშიც აისახება წარმატებული პრაქტიკა, რაც მომავალი სასწავლო წლისათვის იქნება წინარე გამოცდილება). მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალშიც მოსწავლეთა

შედეგების ანალიზისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის (მაგ: თემატური მატრიცის ანალიზი, კვლევა და სხვა), საფუძველზე მოხდება კურიკულუმების გადამუშავება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით წარსადგენი განაცხადის ფორმა;
- შეფასების რუბრიკები;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები, რამდენიმე თემატური მატრიცა, პროექტები და სხვადასხვა აქტივობების დოკუმენტაცია, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ კურიკულუმის განხორციელებისას პედაგოგები დიდი ყურადღებას უთმობენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. მაქსიმალურად ცდილობენ შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება-შენება. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ თავად ისინი ამ პროცესში ასრულებენ ფასილიტატორის როლს. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, კომპლექსური დავალებების, რესურსების და აქტივობების შერჩევა. სწავლა-სწავლების პროცესს ამდიდრებენ რესურსებით, კოგნიტური სქემებით, ასოციაციური რუკებით და ა.შ, რაც მოსწავლეს ეხმარება საკითხის კრიტიკულად გააზრებასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში. გასაუბრებისას მასწავლებლები თავიანთი პედაგოგიური გამოცდილებისა და წინარე სასწავლო წლის რეფლექსიის საფუძველზე გამოთქვამდნენ სურვილსა და მზაობას,

რომ მათ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ამისთვის დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს დაეფუძნებიან. მოსწავლეებს შესთავაზებენ, ისეთ აქტივობებს, სადაც თვითონ მოსწავლემ უნდა შექმნას პროდუქტი და აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას მისცემს მათ. ამგვარად, შემოქმედებით პროცესთან ერთად ცოდნის კონსტრუირების პროცესსაც ეყრება საფუძველი. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მოსწავლეები შუალედურ მიზანზე მუშაობენ, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, ინაწილებენ მოვალეობებს. ინოვაციური პროექტების განხორციელება და კლუბური მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, სააზროვნო, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების წარმოჩენას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის მაძიებლობის განაცხადის შევსებიდან ვიზიტამდე კურიკულუმის ჩარჩო გაამდიდრეს. მნიშვნელოვანია, რომ დაიგეგმოს უფრო მეტი კომპლექსური დავალება, რაც სასწავლო პროცესში კონსტრუქტივიზმის პრინციპების დამკვიდრებას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის პროგრამის დამატების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ახალ მასალაზე მუშაობისას სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების თანახმად, პედაგოგები ცოდნის კონსტრუირებას გეგმავენ მოსწავლეების წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეები ნაცნობ კონტექსტებზე დაფუძნებული დავალებებით, მასწავლებლების ფასილიტაციითა და უკუკავშირით აგებენ ახალ ცოდნას, აკეთებენ დასკვნებს, ქმნიან საინტერესო პროდუქტს და პრეზენტაციაზე ხსნიან თავიანთ ნამუშევრებს. მომავალშიც იგეგმება მოსწავლის საჭიროებებზე ყურადღების გამახვილება და მათი მზაობის, ინტერესების გათვალისწინება, რაც დაეხმარება მასწავლებლებს უკეთ მოარგონ თითოეულ მოსწავლეს კომპლექსური დავალება, ახალი ცოდნის აგება მოსწავლემ მოახდინოს თავის წინარე ცონდა/გამოცდილებაზე დაფუძნებით. წარმოდგენილ კურიკულუმებში სავალდებულო თემების ფარგლებში შესასწავლი საკითხები იმგვარადაა

შერჩეული, რომ ითვალისწინებს წინარე ცოდნას და მასზე ახალი ცოდნის დაშენებას. კომპლექსური დავალების კონტექსტები იმგვარადაა შერჩეული, რომ ახლოს დგას მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, მას უხდება პრობლემის გადაჭრა, ანალოგიების გაკეთება (დაუკავშიროს საკუთარ გარემოს) ნასწავლის შემოქმედებით პროდუქტში გამთლიანება. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ფორმალურ და არაფორმალური განათლებას გეგმავენ იმგვარად, რომ საგაკვეთილო პროცესში მიღებული ცოდნა და გამოცდილება წარმოადგენს წინარე ცოდნას არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას და პირიქით. კათედრა სამომავლოდ გეგმავს არსებული პრაქტიკის გაძლიერებას.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად, რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად და ეძიებს პრობლემის გამოსასწორებელ გზებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ეს კარგად ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებსა და კომპლექსურ დავალებებში. ამას ადასტურებს ასევე, ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში, ნათლად ჩანს დავალების განხორციელების ეტაპები და საბოლოოდ, მოსწავლეების მიერ შესაქმნელი პროდუქტი, რომელიც უწყობს ხელს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით წარსადგენ ფორმაში ხაზგასმულია, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ცოდნის სამივე კატეგორიაზე. მასწავლებელები სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით - კომპლექსური ტიპის დავალებებით და განმავითარებელი

კომენტარებით ახორციელებენ სასწავლო პროცესს. აგრეთვე, სამივე კატეგორიის გასააქტიურებლად სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არაფორმალურ აქტივობებს.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. იგივე როლს ასრულებს პროექტული სწავლებაც, რომელიც ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და დაკავშირებას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ შეეცდებიან კომპლექსური ბუნების დავალებებით ასწავლონ, რადგან ამ ტიპის დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- თემატური მატრიცები;
- ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით წარსადგენი განაცხადის ფორმა ;

- ინტერვიუ;
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს, რომ სკოლას აქვს გაცნობიერებული სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებს, საგნობრივ საკითხებს და სასწავლო რესურსებს შორის. კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება

საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას და განზოგადებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუირების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კერძოდ: საგნობრივ კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან მათთვის ნაცნობ კონტექსტებს უკავშირდება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის და მოსწავლეს პოზიტიური დამოკიდებულება უყალიბდება სწავლის მიმართ. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები ერთგვარ დამხმარე რგოლს ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. კომპლექსური ბუნების დავალებებზე, პროექტებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს უწყობს მის პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების, სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერების უნარს. როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმაშია აღნიშნული, იგივე მიზანს ემსახურება სასკოლო აქტივობები, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. შესწავლილი კურიკულუმებისა და სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ცხადია, რომ სკოლას გააზრებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები. შეფასების პროცესში, ითვალისწინებენ მოსწავლის შესაძლებლობებს არა მხოლოდ ერთი კონკრეტულ კომპეტენციის ფარგლებში, არამედ ზოგადად მის ძლიერ მხარეებს, ინტეგრირებულ ცოდნას, სირთულეებისთვის თავის გართმევას უნარს, შემოქმედებით უნარებს თუ ისტ-ის კომპეტენციებს. სასკოლო კურიკულუმებს თან ერთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუში სხვადასხვა საგანში მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ იყენებენ სხვადასხვა შეფასების რუბრიკებს: პრეზენტაციის, პროექტის, რეფერატის და სხვა შეფასების რუბრიკებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროცესში ჩართულობას და ეხმარება

ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებაში. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იგეგმება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა. მასწავლებელთა მიერ შეფასების პროცესი მოიაზრება სასწავლო პროცესის ნაწილად და ორიენტირებულია მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკები ეფუძნება ეროვნულ სასწავლ გეგმას, განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ, შეფასების რუბრიკების (დისკუსიის, ექსპერიმენტის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის, პროექტის, რეფერატის, სხვადასხვა წერითი სამუშაოების რუბრიკის შექმნის პროცესში.) შექმნაში მონაწილეობენ მოსწავლეებიც, რათა მათთვის ცხადი იყოს შეფასების სისტემა. შეფასება არის ვალიდური, ფასდება ის, რისი შეფასებაცაა განსაზღვრული. მოსწავლეებმა იციან, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა ნაშრომმა. შეფასების სქემა მკაფიოა, რაც განაპირობებს მის თანაბარ სამართლიანობას მოსწავლეების მიმართ. სკოლა თვითშეფასების განაცხადში აღნიშნავს, რომ შეფასების ინსტრუმენტები ირჩევა მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. შესწავლილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში უკვე მოხერხდა სკოლის დონეზე ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვა, რაც ემსახურება ობიექტურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, ვალიდურობის პრინციპების დაცვას შეფასების პროცესში. დაწესებულებას მექანიზმში გაწერილი აქვს ყველა განმახორციელებელი რგოლის ვალდებულება, განსაზღვრულია პასუხისმგებელი სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ვერიფიკაციის მექანიზმის პროცედურების სრულყოფილად შესრულებას. სკოლას აქვს ამ მიმართულებით გარკვეული გამოცდილება, ხდება შეფასების მოსწავლეების მიღწევების ანალიზი, იგეგმება მომავალ წელს სადიაგნოსტიკო შეფასება. აქვთ მზაობა კიდევ მეტად დახვეწონ არსებული შეფასების სისტემა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. სკოლის მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით წარსადგენი ფორმიდან ირკვევა, რომ სკოლაში წლიური შეფასებები ფიქსირდება მოსწავლის პირად საქმეში და ინახება სკოლის კანცელარიაში. ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს ეროვნული სასწავლო გეგმისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად გააუმჯობესოს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის რეგულაციები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- თემატური მატრიცები;
- ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით წარსადგენი განაცხადის ფორმა;
- ინტერვიუ.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია მიმღებლობითი გარემო. კერძოდ, სასწავლო პროცესში მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას მათზე მორგებული კურიკულუმების დანერგვით, პროექტების, საკლუბო თუ სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით. მიღებულია თითოეულის მოსაზრება, წახალისებულია მოსწავლეთა, მშობელთა ინიციატივები. სკოლა მუდმივად ზრუნავს მასწავლებელთა განვითარებაზე სწორი უკუკავშირებითა და რეფლექსიით. ასევე დამრიგებლებს შემუშავებული აქვთ ახალი მოსწავლის მიღების ადაპტაციის მექანიზმი. მოსწავლეთათვის გაცემული უკუკავშირის მიზანია პროგრესის ხელშეწყობა. სკოლა უზრუნველყოფილია საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიით, მოსწავლეთა ასაკობრივი დონეების შესაბამისი საკლასო ავეჯით, ბიბლიოთეკით, სკოლას აქვს ლიფტი, ბუფეტი, სასადილო, სპორტული დარბაზი. ვიზიტის პერიოდში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიაში სრულდებოდა მოწყობის სამუშაოები. კერძოდ, ინდივიდუალურ მაგიდებთან დამონტაჟებული იყო წლის ონკანები და ხდებოდა მათი სისტემასთან მიერთება. ოთახში ცალკე გამოყოფილი იყო კარადები ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის თვალსაჩინოებებისათვის, იგეგმება ცეცხლგამძლე კარადის დადგმაც, რომელშიც განათავსებენ ქიმიურ რეაქტივებს და ცდისათვის საჭირო ჭურჭელს. სკოლის პროგრამის დამატების განაცხადში აღნიშნულია, რომ ყოველივე ეს უზრუნველყოფს პოზიტიურ სასწავლო გარემოს შექმნას და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. არსებული მიდგომები განვითარებას პოვებს მომავალშიც **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების გამოცდილება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი მეტად მოქნილი გახდეს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. კოლეგები გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს, აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლებიც ესწრებიან გაკვეთილებს, შემუშავებული შეფასების სქემის შესაბამისად აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს თვითგანვითარებაში გეგმავენ მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოხდება თემატურ მატრიცაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების გაანალიზების შედეგად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ დაწესებულებაში შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ დირექციასთან, ერთმანეთთან, მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლაში მრავალფეროვანი კულტურული და ეთნიკური გარემოა, რაც იმაზე მიუთითებს რომ ისინი მოცემულ გარემოში თავს კომფორტულად გრძნობენ. მასწავლებლები ერთმანეთს პატივისცემით ესაუბრებიან და განსხვავებული აზრის მიმართ არსებობს მაღალი მიმღებლობა. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით

წარსადგენ ფორმაში ხაზგასმულია, რომ სკოლა ორიენტირებულია ურთიერთთანამშრომლობის კულტურის გაძლიერებაზე, აკადემიური და პიროვნული ზრდის ხელშეწყობაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“ (დებულება);
- დამრიგებლის დებულება;
- ინტერვიუ.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში იგეგმება დიაგნოსტირება, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. იგეგმება კითხვარების შედგენა მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის, რომელზეც დაყრდნობითაც და მიღებული შედეგების გათვალისწინებით მოხდება კურიკულუმის მოდიფიცირება მოსწავლეზე ორიენტირებით. პროცესი წარიმართება კათედრის წევრებისა და დირექციის აქტიური თანამშრომლობით. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით: კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მონიტორინგის მექანიზმი და სკოლის პროგრამის დამატების განაცხადით. ინდიკატორი კრიტერიუმთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საგნობრივი კათედრის წევრ მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ კურიკულუმის მონიტორინგი აუცილებელია და საჭიროა სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ისინი მიღწევების ანალიზისა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებით გეგმავენ სამომავლო საქმიანობას. კურიკულუმების მონიტორინგი და შეფასება მაქსიმალურად იქნება მიმართული სასკოლო

საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებისკენ. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით წარსადგენი ფორმაში ხაზგასმულია, რომ სკოლა შეიმუშავებს ფორმას, სადაც გაწერილი იქნება მიღწევების ანალიზი და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით ახალი შესაძლებლობების გამოკვეთა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება მოიაზრება, როგორც მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დახვეწის, გამოვლენილი სირთულეების გაანალიზების მექანიზმი. სემესტრის ბოლოს მასწავლებლები კათედრას წარუდგენენ სასწავლო წლის დასაწყისში დაგეგმილი ღონისძიებების, პროექტების, აქტივობების ანგარიშს, კურიკულუმის განხორციელების პროცესის რეფლექსიას, მიიღებენ მოსწავლეებისგან და მშობლებისგან უკუკავშირს, მიღებული შედეგები გაანალიზდება პედაგოგიურ საბჭოზე. მექანიზმში დეტალურადაა გაწერილი მიზნები და მისაღწევი შედეგები, თუ რამდენად იყო სასწავლო პროცესი ორიენტირებული სასწავლო მიზნებზე. აქცენტი კეთდება აქტივობების განხორციელებისას გამოკვეთილ ძლიერი მხარეებზე, ასევე იმ საჭიროებებზე, რომელიც გაუმჯობესებას მოითხოვს. საბაზო საფეხურის კლასების პედაგოგები პრობლემის მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ დაგეგმავენ შემდეგი სასწავლო წლის კურიკულუმს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა";
- საგნობრივი კურიკულუმები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შესაფასებლად და სრული სურათის მისაღებად სკოლა გამოიყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, სადაც სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით სხვადასხვა კონტექსტში დააკვირდება პროცესებს, მოსწავლეთა ჩართულობას და წარმოქმნილი პრობლემებს, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების დადგენას. მასწავლებლები მოახდენენ საკუთარი ჩატარებული გაკვეთილების რეფლექსიას. მოსწავლეთა შესაფასებლად გამოიყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, რომლებიც დაეყრდნობა თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს და მკვიდრ წარმოდგენებს. აგრევთვე, შექმნიან და განახორციელებენ თვითშეფასების რუბრიკებს და აწარმოებენ მოსწავლეებზე დაკვრვებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან იკვეთება, რომ სკოლას გააზრებული აქვს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით შეფასების მნიშვნელობა. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით წარსადგენ ფორმაში ხაზგასმულია, რომ „შეფასება განხორციელდება, მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით: საგაკვეთილო პროცესი,

კლუბური მუშაობა, მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, ცხოვრებისეული კონტექსტების მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიურად და თანდროულად გამოყენებისკენ“.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3.სკოლას შეფასების პროცესში გამოიყენებს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორიცაა: კოლეგების გამოცდილების გაზიარება, მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვება, წინარე გამოცდილების გათვალისწინება, შედეგების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, მშობლებთან და მოსწავლეებთან ვერბალური ინტერაქცია, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი, მასწავლებლების მიერ ერთობლივად დაგეგმილი/დანერგილი გაკვეთილები და მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრაზე ჩატარებული გაკვეთილების ანალიზი. ამ მეთოდებით მიღებული ინფორმაცია გადამუშავდება, გამოვლინდება ცვლილებების საჭიროება. მიიღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებას და მიღებული გადაწყვეტილებები აისახება კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლაში შეფასება ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს. სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, შეფასების დროს გათვალისწინებულია გარემო, დროის მენეჯმენტი, ფსიქო-ემოციური ფონი, კლასის პროფილის შექმნა, მოახდენენ მოსწავლეთა უნარების და ინტერესების დიფერენცირებას. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ მასწავლებლები და დამრიგებლები აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს და აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები ახდენს გავლენას შედეგზე. ინდიკატორი კრიტერიუმთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით წარსადგენი ფორმა;
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინტერვიუ კათედრის წევრებთან.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს აქვთ კურიკულუმის შექმნისა და რევიზიის გამოცდილება. ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მსჯელობენ კურიკულუმის მიხედვით განხორციელებული აქტივობების ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე, ახდენენ მის განზოგადებას, სახავენ პრობლემის გადაჭრის გზებს, რაც შემდგომ გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის კურიკულუმის შექმნისას. კურიკულუმის მხარდასაჭერად სკოლა მომავალი სასწავლო წლის ბოლოს მოახდენს პროცესების რეფლექსიას, აღწერს იმ შედეგებს რაც მიღწეული იქნა. სკოლის მიერ წარმოდგენილ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით წარსადგენი განაცხადის ფორმაში აღნიშნულია რომ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნება სკოლის მზაობა, გამოცდილება, ძლიერი და სუსტი მხარეები. სასწავლო წლის ბოლოს სკოლა განახორციელებს პროცესების რეფლექსიას, გადასინჯვის და რევიზიის შემდეგ, შეიმუშავებს რეკომენდაციებს რაც მნიშვნელოვნად განავითარებს და დახვეწს სამომავლოდ კურიკულუმს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმები შექმნილია არსებული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, გათვალისწინებულია გამოკვეთილი ხარვეზები და წარმატებული პრაქტიკა. შექმნილი რეკომენდაციების პაკეტი უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. სამომავლოდ გეგმავენ, კვლავაც გაითვალისწინონ მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის შედეგები და შესაბამისი ცვლილებები შეიტანონ კურიკულუმში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;

- თვითშეფასების ფორმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დასკვნის პროექტი: 62 (სამოცდაორი) გვერდი.

11.09.2023წ.